ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა
და კლინიკური იმუნოლოგიის
სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

INFECTIOUS DISEASES,
AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY
RESEARCH CENTER

თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 16. ტელ: 239-91-43, 239-80-18; ფაქსი: (995 32) 239-91-44; ელ-ფოსტა: aids@gol.ge
16 Al. Kazbegi Ave, 0160 Tbilisi, Georgia. Tel:(995 32) 239-91-43, 239-80-18 ; Fax: (995 32) 239-91-44; E-mail: aids@gol.ge

01-18/371 09 08 2016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქ-ნ ხათუნა ჩაჩავას,

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი ა.წ. 14 ივლისის #01/54086 წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოში ხორციელდება C ჰეპატიტით, მათ შორის C ჰეპატიტის ვირუსის 1-ლი გენოტიპის, მე-3 ხარისხის ღვიძლის ფიბროზის და ცხიმოვანი ჰეპატოზის მქონე ავადმყოფთა მკურნალობა. C ჰეპატიტით ავადმყოფთა ანტივირუსული მკურნალობის ხარჯები სრულად იფარება საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხება ენდოსკოპიურ რეტროგრადულ ქოლანგიო-პანკრეატოგრაფიას (ERCP) და პერკუტანულ ტრანსჰეპატურ ქოლანგიო-დრენაჟს (PTCD), ტრანსჰეპატურ ქოლანგიოსტომიას და ბალონურ დილატაციას, საშარდე გზების რეკანალიზაციას, ბალონურ დილატაციას და სტენტირებას, გაცნობებთ, რომ ყველა ეს გამოკვლევა ინფექციურ დაავადებათა პროფილის დაწესებულებებში, მათ შორის ჩვენს ცენტრში არ ხორციელდება, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ქირურგიულ გამოკვლევებს და სამწუხაროდ არ გვაქვს ინფორმაცია, ფარავს თუ არა საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა აღნიშნული გამოკვლევის ხარჯებს. შესაბამისი შეკითხვით, გთხოვთ მიმართოთ ქირურგიული პროფილის დაწესებულებებს.

პატივისცემით,

ვახტანგ ქერაშვილი
ვირუსული ჰეპატიტების განყოფილების გამგე
ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი